ბარიშევის ეპისკოპოსი ვიქტორი: სერბეთის პატრიარქი პორფირე – ჩვენი დროის ნამდვილი მწყემსია



ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკეს დადგინების შესახებ, რომელიც, მიუხედავად შემოსული მუქარებისა, სერბეთის უწმინდესმა პატრიარქმა პორფირემ ცეტინის მონასტერში აღასრულა, თავისი მოსაზრებები გააზიარა ევროპულ საერთაშორისო ორგანიზაციებში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ბარიშევის ეპისკოპოსმა ვიქტორმა.

2021 წლის 5 სექტემბერს, ჩერნოგორიაში, ცეტინის მონასტერში, ჩერნოგორიისა და პრიმორსკის სამიტროპოლიტოს ახლადარჩეული მეთაურის, მიტროპოლიტ იოანიკეს ინტრონიზაცია შესრულდა.

ინტრონიზაცია, რომელიც უზარმაზარი ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობდა, ბოლო მომენტამდე ჩაშლის

საფრთხის ქვეშ იდგა. წინა საღამოს რამდენიმე ათეულმა ახალგაზრდამ, რომლებიც თავს ჩერნოგორიის „პატრიოტებს“ უწოდებდნენ, მონასტრის შესასვლელი ჩაკეტეს და პირობა დადეს, რომ ცეტინეში საზეიმო ღვთისმსახურებას ჩაშლიდნენ. მართლაც, დილით, ინტრონიზაციის დღეს, „პატრიოტებმა“ და „ნაციონალისტებმა“ სამართალდამცავებთან შეტაკებები დაიწყეს, რის შედეგადაც ოთხი ადამიანი დაშავდა, ხოლო მასობრივი არეულობების მთავარი ორგანიზატორები დააპატიმრეს.

მიზანი, რომელიც პროტესტანტების წინაშე იდგა, ის იყო, რომ მიტროპოლიტ იოანიკეს ინტრონიზაცია არ დაეშვათ სწორედ ცეტინეს მონასტერში, ჩერნოგორიის მთავარ სიწმინდეში. ეს სჭირდებოდათ იმისთვის, რომ უწესრიგობის იდეოლოგების მთავარი მიზანი გამოეხატათ, რომლის თანახმადაც ჩერნოგორიის ხალხი მეუფე იოანიკეს მხარს არ უჭერდა, რადგან ის თითქოს „დიდი სერბული ნაციონალიზმის“ მომხრეა. შესაძლოა, ცეტინში ინტრონიზაციის ჩატარების არ დაშვებით და პოდგორიცაში მისი იძულებით ჩატარებით, „ნაციონალისტები“ მოგვიანებით განაცხადებდნენ, რომ ის არალეგიტიმურია.

ცეტინეში დაძაბულმა სიტუაციამ განაპირობა ის, რომ სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მაღალიერარქები იძულებულნი გახდნენ დაბრუნებულიყვნენ პოდგორიცაში, სადაც ჩაატარეს ერთობლივი ღვთისმსახურება. ხელისუფლების წარმომადგენლები სერბეთის პატრიარქ პორფირეს არწმუნებდნენ, რომ პოდგორიცა – ეს არის საუკეთესო ვარიანტი, რომელიც მისი უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა. რადგან მომიტინგეები მტრულად იყვნენ განწყობილნი, მათგან მოსალოდნელი იყო რადიკალური ნაბიჯები, რაც აუცილებლად გამოიწვევდა ძალადობას და ფიზიკურ დაპირისპირებას. სახელმწიფო ხელმძღვანელობისა და სამართალდამცავი ორგანოების არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა, ამიტომ თუკი პატრიარქი პორფირე მათ მიიღებდა, მაშინ მის გადაწყვეტილებას არავინ გასნჯიდა.

მაგრამ რაციონალური მიზეზი იმისა, რომ ცეტინეში არ წასულიყო, მთლიანად განადგურდა ერთი კონტრარგუმენტით: მონასტერი – ეს სერბეთის საპატრიარქოს კანონიკური ტერიტორია, და ჩერნოგორიის მიტროპოლიტების ინტრონიზაცია ყოველთვის მისი სავანის კედლებში ტარდებოდა. მითუმეტეს ცეტინეშიც, ბუდვაშიც, ულცინშიც და პოდგორიცაშიც – სერბი პატრიარქის სამწყსოა. ხოლო ნამდვილი მწყემსი თავისი სამწყსოსგან არასდროს გარბის. პირიქით, მან „სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს“(იოანე 10:11). სწორედ ასე მოიქცა პატრიარქი პორფირეც: მიუხედავად საფრთხისა, მან გადაწყვიტა, რომ უნდა ყოფილიყო იქ, სადაც მას ელოდნენ და აქვს უფლება აღასრულოს ის, რაც მისი მოვალეობაა ღმრთისა და ღმრთის ერის წინაშე. ამიტომ, სერბეთის პატრიარქი მაინც ჩავიდა ცეტინეს მონასტერში, სადაც საღმრთო ლიტურგია აღავლინა, რომლის დროსაც მიტროპოლიტ იოანიკეს ინტრონიზაცია შედგა.

დიახ, პატრიარქს იცავდნენ სამხედროები, მას ფარავდნენ სპეციალური ფარებით, რომელთაც შეეძლოთ იგი სნაიპერის ტყვიებისგან დაეცვათ. ამიტომ, ვინმე იტყვის, რომ პატრიარქის მოქმედება არც თუ ისე გმირულია. თუმცა, ეს ასე არ არის.

უპირველეს ყოვლისა, ეჭვს გარეშეა, რომ სერბეთის ეკლესიის წინამძღვარი ცეტინეში ნებისმიერ შემთხვევაში წავიდოდა, თუნდაც იქ სამართალდამცავები არ ყოფილიყვნენ. პატრიარქის უსაფრთხოების

უზრუნველყოფა და დაცვა – ეს სახელმწიფო ინიციატივაა, და არა მისი პირადი.

მეორეც, პატრიარქის ჩასვლის ვიდეოში ნათლად სჩანს, რომ ის არაფერს და არავის არ ემალება. მას არ ეშინია, არამედ უბრალოდ მიდის იქ, სადაც უნდა წავიდეს. მისი საქციელი – მაგალითია მიბაძვისთვის. მართლაც, ჩვენს ცხოვრებაში ხშირად არის შემთხვევები, როდესაც გვჭირდება არჩევანის გაკეთება: დავემორჩილოთ გარემოებებს და დავნებდეთ, თუ შევასრულოთ ჩვენი მისია, მიუხედავად ყველაფრისა?

პატრიარქ პორფირეს საქციელმა ნათლად აჩვენა, რომ ის ნამდვილი მწყემსია თავისი სამწყსოსთვის. ჩერნოგორიის თითოეულმა მკვიდრმა დაინახა, რომ სერბეთის ეკლესიის წინამძღვარი საკუთარ თავზე არ დარდობს, პირადი ინტერესებით არ მოქმედებს, არამედ ეკლესიაზე ზრუნავს და პირველ ადგილზე სახარებას აყენებს.

ცხადია, რომ მიტროპოლიტი იოანიკეს ინტრონიზაცია – ეს არის ეკლესიის ჭეშმარიტების კიდევ ერთი მტკიცებულება და ამქვეყნიურ ძალებზე ქრისტეს გამარჯვების ნათელი მაგალითი. ჩვენ გულწრფელად გვიხარია, რომ უფალმა თავის მიწიერ ეკლესიას კიდევ ერთი ჭეშმარიტი მწყემსი მომადლა – პატრიარქი პორფირე, და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ის კვლავაც იქნება შთამაგონებელი მაგალითი მილიონობით მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის!

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88085/